ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერია

ბრძანება:**ბ42. 42242124**

თარიღი:**30/07/2024**

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქალაქ ფოთში, ვალერი გეგიძის ქუჩა N22გ-ში მდებარე 209.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი 04.01.07.090) უპირობო ელექტრონული აუქციონით პრივატიზების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ე.ე“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, 115-ე მუხლის პირველი პუნქტის, 118-ე მუხლის პირველი პუნქტის, 119-ე მუხლის, ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის, 2014 წლის 8 დეკემბრის, N669 დადგენილების შესაბამისად და ,,ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, 2022 წლის 19 აპრილის N4/30 განკარგულების საფუძველზე

ვბრძანებ

მუხლი 1. გამოცხადდეს უპირობო ელექტრონული აუქციონი, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქალაქ ფოთში, ვალერი გეგიძის ქუჩა N22გ-ში მდებარე 209.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი 04.01.07.090) პრივატიზებასთან დაკავშირებით.
მუხლი 2. ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქალაქ ფოთში, ვალერი გეგიძის ქუჩა N22გ-ში მდებარე 209.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი 04.01.07.090) საწყისი საპრივატიზებო საფასური განისაზღვროს 14600.00 (თოთხმეტი ათას ექვსასი) ლარით, ,,ბე“ განისაზღვროს 2920.00 (ორი ათას ცხრაასოცი) ლარით, ხოლო ბიჯი განისაზღვროს 500.00 (ხუთასი) ლარით.
მუხლი 3. განისაზღვროს საპრივატიზებო უძრავი ქონების უპირობო ელექტრონული აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი: 2024 წლის 06 აგვისტოს 15:00 საათიდან, 2024 წლის 20 აგვისტოს 15:00 საათამდე.
მუხლი 4. ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებულ პირს გადახდილი ,,ბე“ ეთვლება საბოლოო ანგარიშსწორებისას.
მუხლი 5. საპრივატიზებო უძრავი ქონების შემძენი შეიძლება იყოს ფიზიკური ან იურიდიული პირი ან ასეთ პირთა გაერთიანება, რომლის ქონებაშიც მუნიციპალიტეტის ან საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოს მონაწილეობის წილი 25 პროცენტზე ნაკლებია.
მუხლი 6. ელექტრონულ აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმის საფუძველზე 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღის ვადაში ფორმდება მუნიციპალიტეტის ქონების მმართველსა და მუნიციპალიტეტის ქონების შემძენს შორის წერილობითი ნასყიდობის ხელშეკრულება.
მუხლი 7. ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღის ვადაში გადაიხადოს მუნიციპალიტეტის შეძენილი ქონების სრული ღირებულება.
მუხლი 8. ელექტრონული აუქციონის შედეგები უქმდება და ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებულის მიერ გადახდილი ,,ბე“ სრულად ირიცხება ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში, თუ:
ა) ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებულმა ნასყიდობის ხელშეკრულების ხელმოწერაზე უარი განაცხადა.
ბ) ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებულმა, აუქციონატორის მიერ განსაზღვრულ ვადაში, სრულად არ გადაიხადა მუნიციპალიტეტის შეძენილი ქონების სრული ღირებულება.

მუხლი 9. თანხა აუქციონში გამარჯვებულმა პირმა უნდა გადაიხადოს შემდეგ საბანკო რეკვიზიტებზე: მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, მიმღები ბანკი: სახელმწიფო ხაზინა, ბანკის კოდი: TRESGE22, სახაზინო კოდი: 300423390 (შემოსულობა ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო მიწების გაყიდვიდან).
მუხლი 10. წინამდებარე ბრძანება განთავსდეს სსიპ ,,სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს“ ვებგვერდზე www.eauction.ge, რომელიც უზრუნველყოფს ელექტრონული აუქციონის ჩატარებას.
მუხლი 11. უპირობო ელექტრონული აუქციონის ფორმით საპრივატიზებო უძრავი ქონების შესახებ ინფორმაცია განთავსდეს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის ვებგვერდზე poti.gov.ge.
მუხლი 12. წინამდებარე ბრძანების სსიპ ,,სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს“ ვებგვერდზე www.eauction.ge-ზე განთავსება უზრუნველყოს ქონების მართვის განყოფილებამ, ხოლო ინფორმაციის ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის ვებგვერდზე poti.gov.ge-ზე განთავსება უზრუნველყოს საინფორმაციო, საგარეო და საზოგადოებასთან ურთიერთობების განყოფილებამ.
მუხლი 13. აუქციონში გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმად განისაზღვროს საპრივატიზებო უძრავ ქონებაზე ყველაზე მაღალი ფასის გადახდა.
მუხლი 14. ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის მდგრადი განვითარებისა და ინოვაციების სამსახურის უფროსს თეონა გეთიას.
მუხლი 15. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ფოთის საქალაქო სასამართლოში (მის. ქალაქი ფოთი, დავით აღმაშენებლის ქუჩა N 3).
მუხლი 16. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ბექა ვაჭარაძე

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერია-ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი